ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების
საქალაქო სამსახური

KA010146264937516

**№25/22732**

**05** / თებერვალი / **2016** წ.

მოქალაქე ირმა სარალაშვილს /01025015070/
მის: იპ. ივანოვის N 45

თქვენი 03.02.2016 წლის #34557/12 განცხადების პასუხად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი მცენარეების (მათ შორის ლეღვი, ტყემალი, ვაშლი, ატამი, კომში, ჭერამი, კარალიოკი, მსხალი, ქლიავი, ზღმარტლი, ბალი) მოჭრა-გადარგვა ნებართვას არ საჭიროებს. ხოლო რაც შეეხება 3 (სამი) ძირ ირმის რქას დიამეტრებით: 3.8სმ, 10.2სმ, 12.4სმ და 28 (ოცდარვა) ძირ ვაზს დიამეტრებით: 2.2სმ-დან 10.8სმ-მდე სამსახური თანახმაა გადაირგოს მიმდებარე ტერიტორიაზე აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით ისე, რომ არ დაირღვეს მათი სასიცოცხლო ფუნქცია.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი

ნინო სულხანიშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

83247063743815

# საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N150921099**

რეგისტრაციის თარიღი

**26.08.2015 წ**

ნოტარიუსი: დავით კეკელია
მისამართი: თბილისი, გლდანის მას, ო. ხიზანიშვილის ქ.#37
ტელეფონი: 2-58-81-08

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

# სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის № 150921099

საქართველო

ორიათასთხუთმეტი წლის ოცდაექვს აგვისტოს, მე, ნოტარიუსს, დავით კეკელიას, ჩემს სანოტარო ბიურო'ში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ო.ხიზანიშვილის ქ.№37-ში მომმართა მოქალაქე **ზაზა ციცქიშვილმა, როგორც შპს ბესტ ჰაუსი-ს, ს/კ 400149442, დირექტორმა თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის №B15148616, მომაზდების თარიღი 17.07.2015წელს,** რომელმაც მოითხოვა სანოტარო აქტის /მინდობილობის/ შედგენა და მინდობილობით უფლებამოსილების მინიჭება მოქ. **ირმა სარალაშვილზე.**

აღნიშნულთან დაკავშირებით ითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მოქ. **ზაზა ციცქიშვილმა,** დაბ. 14.04.1980წ. ხაშურში, რეგ. თბილისი, გლდანი III მ/რ, კ.81, ბ.13, პ/ნ 01013009918, მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა, რის შემდეგაც შევადგინე აღნიშნული მინდობილობის ტექსტი, ხმამაღლა წავუკითხე მას ეს მინდობილობა. მან წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას პირადად ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის მინდობილობას.

## მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათასთხუთმეტი წლის ოცდაექვს აგვისტოს, მე, **ზაზა ციცქიშვილი,** რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც "მიმნდობი" წინამდებარე მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ **ირმა სარალაშვილს,** დაბ. 22.11.1968წ, თბილისში, პ/ნ 01025015070, რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც « მინდობილი პირი »:


- „მინდობილი პირი" უფლებამოსილია აწარმოოს **შპს ბესტ ჰაუსი-ს, ს/კ 400149442** საბანკო საქმე, გახსნას და/ან დახუროს ანგარიშები, მართოს და განკარგოს ანგარიშები საქართველოს ნებისმიერ ბანკში, მის ფილიალში და სერვის ცენტრში, მოახდინოს ნებისმიერი საბანკო ოპერაციები, გადარიცხვები, კონვერტაცია, შეიტანოს და გამოიტანოს ფულადი თანხები, ისარგებლოს ინტერნეტბანკინგით, აიღოს ამონაწერი საბანკო ანგარიშებიდან, ხელი მოაწეროს „მიმნდობის" სახელით და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნულ დავალებასთან;
- „მინდობილი პირი" უფლებამოსილია იყოს **შპს ბესტ ჰაუსი-ს, ს/კ 400149442** წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, ქ. თბილისის მერიაში, გამგეობაში, კერძო კომპანიებთან, აწარმოოს საქმიანობა **შპს ბესტ ჰაუსი-ს, ს/კ 400149442** სახელზე როცხული უძრავი ქონების მართვასთან და განკარგვასთან, იპოთეკით დატვირთვასთან, კერძოდ განკარგოს /გაყიდოს, გააჩუქოს , გამოჯნოს, გააქირაოს, დააგირაოს , დაყოს, იპოთეკით დატვირთოს, გააუქმოს ჩემს მიერ დადებული ნებისმიერი სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებები, შეიტანოს მასში ცვლილებები, გადაიფორმოს თავის სახელზე / ჩემ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება . მდებარე : ქალაქი თბილისი, ქუჩა იპ. იოანოვის 45 მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, ქუჩა იპ.იოანოვის, №45, ს/კ 01.11.05.033.085, ყველა შემთხვევაში თანხები და პირობები განსაზღვროს თავისი შეხედულებისამებრ, საქართველოს კანონით დადგენილი წესით დადოს ხელშეკრულებები (თანხები და პირობები განსაზღვროს თავისი შეხედულებისამებრ), საგადასახადო ინსპექციაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საშემოსავლო სამსახურის შესაბამის ორგანოებში, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ნებართვა და აწარმოოს სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები, გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, ისარგებლოს ბეჭდით, მოიპოვოს და ჩააბაროს საჭირო ცნობები და დოკუმენტაცია „მიმნდობის" სახელით, ხელო მოაწეროს მესამე პირებთან ურთიერთობისას ყველა საჭირო დოკუმენტს „მიმნდობის" სახელით და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნულ დავალებასთან, რაზედაც ვაწერ ხელს:

მიმნდობი : ზაზა ციცქიშვილი

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.
მინდობილობა შედგენილია ოთხ_ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნემ სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა – მიმნდობს .
გადახდილია საზღაური 10.00 ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა, "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29 დეკემბერი, 2011 წელი, დადგენილება №507) , 31-ე მუხლის მე-7 პუნქტი, აგრეთვე იმავე დადგენილების 39-ე მუხლის I-ლი პუნქტისა სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის 2.00ლარი, სულ გადახდილია 12.00 ლარი.

ნოტარიუსი: დავით კეკელია

# შენობიდან ხეების დაშორების და გადანერგვის გენგეგმა
მ 1:500




პირობითი აღნიშვნები

— გადასარგავი ვაზის ადგილი

— შემდგომ გადარგული ვაზის ადგილი


— კენკროვანი ხის მოჭრის ადგილი

— გადასარგველი ხის ადგილი

— შემდგომ გადარგული ხის ადგილი

| | | | |
|---|---|---|---|
| 2016 წ | შ.პ.ს "ბესტ ჰაუსი" | | დამკვეთი |
| პროექტის მთ.არქ | | თ. კვირცხალია | ზაზა ციცქიშვილი |
| შესრულა | | თ. კვირცხალია | |
| ქ. თბილისი ია. ივანოვის №45 ნაკვეთი 01.11.05.033.085 | გრუნტის ცვლიბის გენგეგმა მ 1:500 | | ფურცელი არ- |

# შენობიდან ხეების დაშორების და გადანერგვის შემდგომ მიღებული გენგეგმა
მ 1:500




| | | | |
|---|---|---|---|
| 2016 წ | შ.პ.ს "ბესტ ჰაუსი" | | დამკვეთი |
| პროექტის მთ.არქ | | თ. კვირცხალია | ზაზა ციცქიშვილი |
| შეასრულა | | თ. კვირცხალია | |
| ქ. თბილისი ივ. ივანოვის №45 ნაკვეთი 01.11.05.033.085 | გრუნტის ცვლილების გენგეგმა მ 1:500 | | ფურცელი არ- |